ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9724240001
თარიღი:27/08/2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარშე სხდომა N- 15

დ. ლენტეხი. 23 აგვისტო 2024წ.

მიმდინარე წლის 23 აგვისტოს დღის 12 საათზე შედგა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომა უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. მან აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება საკრებულოს 15 (თხუთმეტი) წევრი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი გულივერ გაზდელიანი/

შენიშვნა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1.მოისმინეს: მერიის საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა გულივერ გაზდელიანიმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ:

1. **N1025 მთავრობის განკარგულებით ადგილობრივ ბიუჯეტს დაემატა 127 616 ლარი;**

2. N1204 განკარგულებით რეგიონში განსახორციელებელი პროექტებისთვის ბიუჯეტს დაემატა 883 392 ლარი;

3. საკუთარი შემოსავლები გაიზარდა 220 000 ლარით პროექტების თანადაფინანსებისთვის;

4. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება მოვლა შენახვის მუხლიდან 100 000 ლარი გადატანილი იქნას მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მუხლში;

5. ა(ა)იპი თემებთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრის სუბსიდიის მუხლიდან 1650 ლარი გადატანილი იქნას ა(ა)იპი საბიბლიოთეკო გაერთიანების სუბსიდიის მუხლში;

6. ა(ა)იპი გარემოს დაცვის სუბსიდიის მუხლიდან 1200 ლარი გადატანილი იქნას ა(ა)იპი ლ.მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუხლში;

7. მერიის სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლიდან 32799 ლარი გადატანილი იქნას მერიის არაფინანსური აქტივების მუხლში.

შეკითხვა დასვა საკრებულოს წევრმა დალი ტვილდიანმა: რა პრინციპით ნაწილდება ეს თანხები?

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თემების მიხედვით სოფლებში ჩატარდება მოსახლეობასთან შეხვედრები და შეჯერდებიან თუ რა პროექტზე იქნება ხელშეკრულება დასადები.

შეკითხვა დასვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით პირველმა:

როგორ არის განაწილებული N1204 განკარგულებით რეგიონში განსახორციელებელი პროექტებისთვის გათვალისწინებული 883392 ლარი?

მომხსენებელმა განმარტა: გზებში - 54635ლარი; კეთილმოწყობა 195221 ლარი;

სანიაღვრე არხები და ჯებირები - 142 536 ლარი.

შეკითხვა დასვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მარეხი ონიანმა - აიპიებში რა ცვლილებებია გათვალისწინებული?

პასუხად მომხსენებელმა არნიშნა, რომ თანამშრომლების გადანაცვლება მოხდა ერთი აიპიდან მეორეში და შესაბამისად უნდა გადავანაცვლოთ თანხები.

შეკითხვა დასვა საკრებულოს წევრმა მურადი ჩანქსელიანმა 32799 ლარის მიზნობრიობაზე.

პასუხად აღინიშნა, რომ იაპონიის საელჩოსგან გრანტის სახით მივიღეთ 72933 დოლარი ტრაქტორის შესაძენად და ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდესდ .ღ.გ-ს თანხა - 32799 ლარის ოდენობით.

კითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ბიუჯეტის მეხუთე ცვლილება დააყენა ღია კენჭისყრაზე.

სხდომის წევრებმა მოიწონეს აღნიშნული პროექტი ხმათა უმრავლესობით

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დასრულდა 13 საათსა და 30 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი